

ოქმი N3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2019 წელი, 11 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

15⁰⁰ -16⁰⁰საათი

თავმჯდომარეობდნენ: ლ.ბიგვავა, მუდმივმოქმედი კომისიის
თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიათა წევრები: გ. მდინარაძე, ვლ. ლლონტი,
თ.ტულუში, გ.ჩავლეშვილი, ვლ.ჩავლეშვილი, ლ.მგელაძე, ლ.კილაძე,
ლ.საჯაია, ბ.დოლიძე, ბ.ქათამაძე, დ.ჭაკნელიძე, შ.თავდიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ლ.ბიგვავამ, კომისიის წევრებს გააცნო სხდომის
დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებულ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული
პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

2. დაბა ურეკში სპორტული მოედნის რეაბილიტაციის თაობაზე დაბის
მაჟორიტარი საკრებულოს წევრის გ.მდინარაძის მომართვის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

3. გურიანთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ციხისფერდში 1500 მეტრ
გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგების თაობაზე მოსახლეობის
განცხადების შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

4. შრომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხრიალეთის მცხოვრებ ვენერა
მორგოშიას განცხადების შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ის ძირითადი შენიშვნები,
რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გააჩნია მუნიციპალიტეტების
(ოზურგეთს თემთა და ქ.ოზურგეთის) 2016-2017 წლების საფინანსო
საქმიანობისადმი. ილაპარაკა არსებულ საკანონმდებლო დარღვევებზე, კომისიის

წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ ვერ გაიზიარებენ აუდიტის ყველა შენიშვნას და რეკომენდაციას, თუნდაც მუნიციპალური ქონების გასხვისებას მხოლოდ ელექტრონული აუქციონის ფორმით, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება იზარალოს მუნიციპალიტეტმა, ასევე მიუღებელია შენიშვნა, თითქოს ყველა ქონების გასხვისების საჯარო აუქციონი იმართებოდა კონკრეტული პიროვნებების ინტერესების შესაბამისად და სხვა. საკითხის გარშემო აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა-ლ.მგელაძემ, გ.ჩავლეშვილმა და ბ.დოლიძემ. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აუდიტის ანგარიშის განხილვის შედეგების ცნობად მიღებას, კომისიის მოსაზრებების მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წერილობით მიწოდებას, მიზანშეწონილად მიიჩნიეს დალოდებოდნენ შესაბამისი ორგანოების ძიების საბოლოო შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში კვლავ ემსჯელათ კომისიის სხდომაზე.

კომისიის წვრები დაეთანხმნენ დაბა ურეკში სპორტული მოედნის რეაბილიტაციის თაობაზე, დაბის მაჟორიტარი საკრებულოს წევრის, გ.მდინარაძის განცხადებას და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ამის შესახებ მუნიციპალიტეტის მერიისათვის წერილის გაგზავნა.

კომისიის წევრები, ასევე დაეთანხმნენ, გურიანთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ციხისფერდში ასფალტო-ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერიისათვის წერილის გაგზავნას.

იმსჯელეს შრომის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ხრიალეთის მცხოვრებ ვენერა მორგოშიას განცხადების შესახებ(რომლის საცხოვრებელი სახლი მეწყერის გამო საცხოვრებლად სახიფათოა და ითხოვს საცხოვრებლით უზრუნველყოფას), კომისიის წევრებმა აუცილებლად მიიჩნიეს აღნიშნული მოქალაქის საცხოვრებლით დაუყოვნებლივ უზრუნველყოფის თაობაზე, მერიისათვის მიმართვა.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.დამტკიცდეს კომისიის მიერ მომზადებული დასკვნები(თან ერთვის) სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე და კომისიის მიერ მხარდაჭერილ საკითხების გადაწყვეტის თაობაზე ოფიციალურად ეცნობოს მუნიციპალიტეტის მერიას (კ.შარაშენიძე).

2.სახელმწიფო აუდიტის ანგარიშისა და რეკომენდაციის განხილვის შედეგები მიღებულ იქნას ცნობად, კომისიის მოსაზრებები წერილობით ეცნობოს საკრებულოს, გამოძიების საბოლოო შედეგების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში კომისია კვლავ დაუბრუნდეს საკითხზე მსჯელობას.

ლავრენტი ბიგვავა



კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია